ცნობის ფურცელი

№ 2156 სამშაბათი, 20 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2156

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ნინო დავითის ასული ტარიელაშვილისა და ნინო ხარიტონის ასული მთვარელიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარლის ქმრისა, ხოლო მეორე—დაუვიწყარი ბიძის

პლატონ დიმიტრის ძის ტარიელაშვილისას. (2—1)

---

18 მაისს ქ. პეტერბურგში გარდაიცვალა

მართა ისიდორეს ასული იოსელიანისა.

დედა განსვენებულისა **ნინო მერაბის ასული** შვილებითა და სიძით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვს დაესწრნენ განსვენებულის პანაშვიდს ამაღლების ეკლესიაში 21 მაისს, ოთხშაბათს, დილის 10 საათზე. (2—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე;

დილით:

მ. ი. ზღუდინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ნ. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. ვ. ამბარდანოვი—ხირურგიისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

მ. ნ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ბ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტეპი—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)

ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის ეკლესიასთან. **ტელეფონი 642**

ცვირას, 25 მაისს ბანკის ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო მიზნით.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ მიზნისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) ქ ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—1)4

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ავსტრო-ჰუნგრეთი. დიდი ამბები ხდება ხორვატიაში (კროაციაში). ხალხი ყველგან ირევა. დემონსტრაციებს ახდენს, რკინის გზის ლიანდაგსა და შენობებს ანგრევს. დემონსტრაციებში თან-და-თან უფრო მეტი ხალხი იღებს მონაწილეობას. პოლიცია და ჟანდარმები თითონ ვერასა ხდებიან და ჯარს მიიშველიებენ ხოლმე. რამდენსამე ადგილას გლეხკაცებს კიდევ მოუხდენიათ უწესოება. სისხლიც კი დაუღვრიათ. პრიბერში გლეხკაცებს საზოგადოებრივ მმართველობის შენობა დაუნგრევიათ და კედლიდან ხორვატიის მთავარ მართებლის სურათი ჩამოუგლეჯიათ. მეორე ქალაქში ხალხი მოედანზე მთავარ-მართებლის სურათს დიდის ამბით უპირობდა დაწვას, მაგრამ პოლიციამ, როგორც იყო, ხელი შეუშალა და და ხალხმა თავისი სურვილი ვეღარ შეასრულა. გაზ. „პოლიტიკ"-ი ამბობს: კანტი კუნტად მოსულ ამბებიდანაც კი სჩანს, რომ მთელი ხორვატია მადიარების (ჰუნგრების) წინააღმდეგ აღელვებულა.

რამწამს უწესოება დაიწყო, ზოგიერთ ოლქებში მაშინვე სამხედრო წესები დააწესეს. ეხლა კიდევ რამდენსამე ოლქში შემოუღიათ ეს წესები. ხორვატიის მთავარ-მართებელს კუენ-ჰედერვარის ხორვატიულ გაზეთებისათვის უბძანებია: არეულობასა და უწესოებაზე იმის მეტი არა დაჰბეჭდოთ რა, რაც ოფიციალურ გაზეთში იქნება გამოცხადებულიო. ოფიციალურ ცნობას ერთი სიტყვაც არ დაუმატოთ, თორემ სტამბებს დაგიკეტავთ და გაზეთებს აგიკრძალავთო.

◆ ხორვატული ხალხი ჩამომავლობით და ენით წმინდა სერბები არიან. ხორვატია ჰუნგრეთის სამეფოს ნაწილს შეადგენს, მაგრამ ავსტრიის პროვინცია დალმაციაშიაც სერბები დგანან. რასაკვირველია, დალმატებიც თანაგრძნობით მოეკიდნენ ხორვატებს და თითონაც დემონსტრაციები მოახდინეს. დალმაციაში სპალატოში ხალხმა ჰუნგრეთის გემები ნავთ-სადგურზე არ მიუშვა, სინამ გემებმა ჰუნგრეთის ბაირაღები არ ამოჰხსნეს.

დალმაციის დეპუტატებმა ავსტრიის პირველ მინისტრს კერბერს სთხოვეს, გვაშუამდგომლეთ, რომ იმპერატორმა მიგვიღოსო; გვინდა ხორვატიის საქმეებზე მოველაპარაკოთ. კერბერმა დალმაციის წარმომადგენლები მიიღო და დაჰპირდა: მეორედაც მიგიღებთ მოსალაპარაკებლად, მაგრამ იმპერატორს კი იმდენი ოფიციალური მოვალეობა და საქმე აქვს, თანაც ისე გამწარებულია ხორვატიის არეულობით, რომ ეხლა იმისი ნახვა, ისიც ხორვატიის საქმეზე მოსალაპარაკებლად, სწორედ უხერხული იქნება და ამიტომ თქვენს თხოვნას ვერ გადავსცემ იმპერატორსაო. მით უფრო ვერა ვსთხოვ, რომ ხორვატია ჰუნგრეთს ეკუთვნის; ჰუნგრეთი კი ისედაც აღელვებულია ავსტრიის რეიხსრატზე მას შემდეგ, რაც იქ ხორვატიის საქმეზე კამათი მოხდაო.

დალმატები ჰფიქრობენ: კერბერი პრინციპიალურად წინააღმდეგი არ იქნება იმისი, რომ იმპერატორი ვნახოთ, მაგრამ განგებ საქმეს აჭიანურებს, რომ ჯერ ჰუნგრეთის მთავრობას მოელაპარაკოს ამ საქმეზეო.

◆ ავსტრიული გაზ. „ფათერლანდი" ამბობს: მთავარ-მართებელი კუენ-ჰედერვარი ისე ცუდად ჰმართავს ხორვატიის საქმეებს, რომ თითქმის მთლად დაღუპა ეს ქვეყანაო. „ხორვატიაში არც ერთი რკინის გზა არ გაუყვანიათ, რომ ხალხისათვის სასარგებლო იყოს. იქაურ გზებს მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ხორვატიის ორ უმთავრეს ქალაქს—ზაგრებსა და ოსეკს შუა—ჯერ რკინის გზა არაა გაყვანილი. რკინის გზაზე ისეთი ტარიფია დაწესებული, რომ ხორვატიას დიდი ზარალი მოსდის: ზაგრებიდან ნავთ-სადგურ რეკამდე (ფიუმამდე) საქონლის მიტანა იმდენივე ჰღირს, რაც ბუდაპეშტიდან რეკამდე (ფიუმამდე), როდესაც ეს მეორე მანძილი გაცილებით მეტია პირველზე. ხორვატიას თავისი საკუთარი ნავთ-სადგური არა აქვს, ვაჭრობა თანდათან ეცემა, მრეწველობის განვითარებას ხელს არავინ უწყობს. ამ მხარეში 20 ფაბრიკა ძლივს იქნება. ამიტომ დიდ-ძალი ხალხი მიდის უცხო ქვეყნებში დასასახლებლად: 1902 წელს 20 ათასი კაცი გადასახლდა. საკუთარი ბიუჯეტი ხორვატიას მარტო ნახევარ წლამდე ჰყოფნის; სლავენიის ერთ უმდიდრეს ოლქში ხალხზე ერთი მილიონი გულდენი ხარჯი დარჩა

ფელეტონი

ჰერხარტ ჰაუპტმანი

(კრიტიკული ეტიუდი *)

II

ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა იყოს გულ კეთილი და ცხოვრებაში გამოუცდელი ადამიანი. ელენე ჰხედავს თავის ნათესავების ზნეობრივ გახრწნილებას, ჰხედავს, მაგრამ ვერა ჰბედავს უკმაყოფილების საჯაროდ გამოთქმას, ვერა ჰბედავს ბრძოლას გათახსირებულ ადამიანებთან. იმას ცოტა წაუკითხნია, ცოტაც უნახავს და ამიტომ არ იცის, რა ჰქნას. გარშემო მხოლოდ გარყვნილებასა ჰხედავს, მხოლოდ ძალმომრეობას ამჩნევს. თავის პროტესტს, ვიმეორებთ, ელენე ვერ უცხადებს მტანჯველებს, იგი მხოლოდ იმასაა დარწმუნებული, რომ უბედური ადამიანია, რომ ბედი არ გაუღიმებს და სხვ. მაგრამ დროებით ამ საცოდავმა არსებამაც გამოსცადა სანეტარო წამები, გაეღვიძა სურვილი ბრძოლისა, მოინდომა ნამდვილ პიროვნებად გამხდარიყო; მაგრამ, სამწუხაროდ, დროებითი იყო ესა. საქმე ის არის, რომ ელენეს ძლიერ შეუყვარდა ლოტი. ლოტმა გაცნობისთანავე დაუწყო ლაპარაკი ძლიერ საყურადღებო საგნებზე, აუხსნა თავისი შეხედულება ცხოვრებასა, თანამედროვე საზოგადოებასა და პატიოსან ადამიანის მოვალეობაზე. ელენეს თვალები აეხილა. დადგა იმისთვისაც ბედნიერი დღე, იმანაც შეიგნო თანამედროვე საზოგადოების გახრწნილება და მით უფრო შეიძულა თავისი ნათესავები. შეიგნო, რომ პატიოსანი პიროვნება უნდა ეცადოს, როგორმე გააუმჯობესოს მშრომელ ხალხის ბედ-იღბალი, როგორმე მოსპოს სამარცხვინო მონობა და ძალ-მომრეობა. აღეძრა სურვილი ბრძოლისა და ცხოვრებისა. იმას უნდა, როგორმე მოჰშორდეს გარყვნილ ოჯახს და გაჰყვეს ცოლად საყვარელ კაცს—ლოტს. ლოტსაც ძლიერ უყვარს ელენე, ორივე ამბობს, რომ მხოლოდ ორი დღეა, რაც ნამდვილად ვცხოვრობთო; უნდათ საერთო შრომით რაიმე სარგებლობა მოუტანონ დამონავებულ ხალხს. ელენე ეფიცება ლოტს, რომ იმისი ნამდვილი ამხანაგი იქნება, რომ ისიც იშრომებს, რამდენადაც შეეძლება, ხალხის სასარგებლოდ, და არასოდეს ხელს არ დაუშლის ლოტს. ისინი ხშირად ეხებიან საზოგადო საკითხებს. აი, როგორ უხსნის ლოტი თავის შეხედულებას თანამედროვე საზოგადოებაზე და საზოგადოდ თავის მიმართულებას:

ლოტი. ...ჩვენ საშინლად ვიბრძვით, ამ ბრძოლის დამლევამდე ვერც კი მიაღწევ.

ელენე. განა ჩვენც, სხვები, არ ვიბრძვით?

ლოტი. არა.

ელენე. ჩვენც ხომ ვიბრძვით?

ლოტი. რასაკვირველია. მაგრამ შეიძლება ეს ბრძოლა გათავდეს.

ელენე. შეიძლება, თქვენ მართალი ხართ. მაგრამ რატომ არ გათავდება ის ბრძოლა, რომელშიაც თქვენ იღებთ მონაწილეობას?

ლოტი. თქვენი ბრძოლა არის ბრძოლა პირადის კეთილდღეობისათვის. ამიტომ ყველას, რამდენადაც შეუძლია საზოგადოდ ადამიანს, შეუძლიან მიაღწიოს ამ მიზანს. ჩემი ბრძოლა კი არის ბრძოლა საყოველთაო ბედნიერებისათვის. მე რომ ბედნიერი გავხდე, საჭიროა, რომ ყველა ჩემს გარშემო ბედნიერი იყოს. ჩემის ბედნიერებისათვის საჭიროა, რომ არა ვხედავდე არც ავადმყოფობას, არც სიღარიბეს, არც მონობას, არც გათახსირებას. მე შემიძლიან დავჯდე სტოლზე მხოლოდ ყველაზე ბოლოს.

ელენე. მაშასადამე, თქვენ ძლიერ კარგი კაცი ყოფილხართ.

ლოტი. ეგ არაფერია. მე ასე ვარ შექმნილი. მე დიდ სიამოვნებას ვგრძნობ თვით ბრძოლისაგან, რომელიც გამარჯვების იმედს მაძლევს. ჩემის აზრით, ეს ბედნიერება გაცილებით უფრო მაღლა სდგას ჩვეულებრივ ეგოისტურ ბედნიერებაზე.

ელენე. მაგრამ ასეთი კაცები ცოტაა. რა ბედნიერებაა ასეთ ადამიანად დაბადება!

ლოტი. ასეთი ადამიანი არ იბადება. მე მგონია, რომ ასეთ ადამიანად გახდება კაცი მხოლოდ ჩვენ განწყობილებათა შეუსაბამობის გამოისობით. უვარგისობა უნდა შეიგნოს კაცმა. როდესაც იმას შეიგნებ და როდესაც თვითონ იტანჯები ამ განწყობილებათა წყალობით, მაშინ შეიქმნები ისეთი, როგორიცა ვარ მე.

ელენე. მე მინდა სავსებით გავიგო თქვენი აზრი.., რას ეძახით შეუსაბამობას?

ლოტი. შეუსაბამოა, მაგალითად, თუ რომ მშრომელი ოფლითა თვისითა იღწვის ლუკმა-პურის მოპოებისათვის, მაგრამ მაინც მშიერია, ზარმაცს კი ზედმეტი აქვს. შეუსაბამოა, როდესაც სჯიან მკვლელს მშვიდობიანობის დროს, ხოლო აქებენ და ადიდებენ ომიანობის დროს! შეუსაბამოა—გეზიზღებოდეს ჯალათი და თითონ კი, როგორც ჯარის-კაცი, ამაყად დასეირნობდე ხმლითა და დაშნით. ჯალათმა რომ გაისეირნოს თავის საზიზღარი იარაღით, უეჭველია იმას ქვებს ესვრიან. შეუსაბამოა—სახელმწიფო სარწმუნოებათ ქრისტეს სარწმუნოება გვქონდეს, მოთმინებისა, თავგანწირვისა და სიყვარულის სარწმუნოება, და იმავ დროს აღვზარდოთ ხალხი სისხლის ღვრისათვის, აღვზარდოთ ადამიანები ადამიანთა დასახოცად.და ამისთანები ხომ ძლიერ ბევრია. ხოლო ამ შეუსაბამოებათა წინააღმდეგ წასვლა ადვილი არ არის. რაც ადრე დაიწყება, მით უკეთესია.

ელენე. როგორ მიხვედით მაგ აზრამდე? ყველა ეს ადვილად მოსაფიქრებელია და იმავ დროს ამდენ ხანს ვერ მოგვიაზრებია.

ლოტი. ჩემის განვითარების მსვლელობისა, აგრეთვე ამხანაგებთან ლაპარაკისა, წიგნების კითხვისა და საკუთარ აზრთა წყალობით ჩემთვის ძნელი არ ყოფილა ამ აზრამდე მისვლა. ჯერ კიდევ სულ პატარა ყმაწვილი ვიყავ, როცა პირველი შეუსაბამობა გავიგე. ერთხელ როგორღაც ტყუილი ვსთქვი, რისთვისაც მამამ ყური ამიწია. ამ შემთხვევის შემდეგ მე და მამაჩემი მატარებლით წავედით სადღაც და შევნიშნე, რომ მამამაც ტყუილი სთქვა. ეს სიცრუე იმან ჩვეულებითი მოვლენად ჩასთვალა. მაშინ ხუთის წლისა ვიყავ, მამა ჩემმა კი კონდუქტორს უთხრა ჩემზე, რომ ოთხიც არ შესრულე-

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2153.

გადაუხდელი. 1868 წლის შეთანხმებას ჰუნგრეთი ზედაც არ უყურებს. ამ შეთანხმების ძალით ადგილობრივ ოფიციალურ ენად მარტო ხორვატული უნდა იყოს, ნამდვილად კი რკინის გზებზე და ყველა საზოგადო დაწესებულებაში მარტო ჰუნგრული ენა ბატონობს. ამავ საზოგადო დაწესებულებაში კანონის ძალით მარტო ადგილობრივი ხალხი უნდა მსახურებდეს, ნამდვილად კი ყველა დაწესებულება ჰუნგრებითაა სავსე. ხორვატებს მარტო დაბალ ადგილებს აძლევენ, ისიც ბევრს როდი იღებენ; ამ ადგილებზედაც ჰუნგრებს რჩეობენ.

ინგლისი. მუშების დეპუტატმა კეირ-გარდიმ ამნაირი წინადადება შეიტანა საბიუჯეტო პროექტის შესასწორებლად:

„რადგან მუშათა კლასი გაჭირვებულ სოციალურ ყოფაშია, დეპუტატთა პალატა თანახმა არაა, რომ 500 გირვ. სტერლინგზე მეტ შემოსავალს გადასახადი გინდ ცოტათი მოაკლდეს, სანამ საჭმლის და ხორაგის ყველა ბაჟები არ მოისპობა“.

◆ ჩემბერლენი კიდევ ინგლისის საფინანსო წესების რეფორმას თხოულობს: უსათუოდ ბაჟები უნდა დავაწესოთო. სამინისტროს მომხრეები მეტად გაკვირვებულნი არიან: ჩემბერლენი არც სამსახურიდან გადის და არც სამინისტროს პოლიტიკის გაკიცხვას იშლისო.

9 მაისს დეპუტატთა პალატა მოხუცებულ მუშების პენსიის პროექტს იხილავდა; ადგილობრივ მმართველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ლინგმა მთავრობის სახელით სთქვა: მთავრობა თანაუგრძნობს ამ ბილს, მაგრამ იმის შესრულებას კი ვერ იკისრებსო. კამათში ჩემბერლენმაც მიიღო მონაწილეობა. კოლონიების მინისტრმა სთქვა: „ამ ჟამად ხაზინას იმდენი თავისუფალი ფული არა აქვს, მაგრამ ინგლისის საფინანსო სისტემა რომ შეიცვალოს, მაშინ პენსიებისათვის საჭირო ფულიც გამოჩნდება. ამ რეფორმას ხომ წინადაც ვთხოულობდიო“ (ტაშის ცემა და დაცინვა). ჩემბერლენის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე. დეპუტატები ამბობენ: ალბად, კოლონიების მინისტრი იმიტომ დაჰპირდა მუშებს პენსიის დაწესებას, რომ მუშა ხალხი მიიმხროს და იმათ შემწეობით თავისი საფინანსო სისტემის რეფორმის პროექტი განახორციელოსო.

◆ 10 მაისს ლონდონში, ჰაიდპარკში დიდი კრება მოუხდენიათ მთავრობის სასკოლო ბილის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ამ კანონ-პროექტის ძალით ლონდონში სასკოლო რეფორმა უნდა მოხდეს. კრებას 500 ათასი კაცი დასწრებია.

საფრანგეთი. კარმოში საფრანგეთის მადნის მუშათა კონგრესია შეკრებილი. კონგრესმა, სხვათა შორის, დაადგინა, მადნის მუშების ფედერაციის ბინა კარმოდან პარიზში გადავიტანოთო. მერე კრებამ პალატისაგან დამტკიცებული საპენსიო პროექტი მოიწონა და სასურველად სცნა, რომ სახელმწიფომ დანიშნოს, რომელ ოლქში რის ნაკლებ არ უნდა მუშაობდეს მადნის მუშა. დასასრულ კონგრესმა განიხილა პროექტი იმის თაობაზე, რომ კაპიტალისტებისაგან მიტოვებულ მაღაროების შესამუშავებლად კოოპერატიული საზოგადოება დაარსდესო. მთავრობის ნებართვით 5 მილ. ფრანკის ლოტერეია გავმართოთ და ამ ფულით ხსენებული კოოპერატიული საზოგადოება დავაარსოთო.

ახალი ამბავი

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, განიხილა და მოიწონა მინისტრის რწმუნებულის მედვედევის მიერ შემუშავებული **პროექტი სახელმწიფო გლეხთა მიწების მოწყობის** შესახებ. ამ პროექტის ძალით, მუშაობანი ადგილების გასამიჯნავად მოხდება სოფლის საზოგადოებათა ხარჯით.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია 17 მაისს დაიწყებს ბათუმში **საქმეების განხილვას.** სხვათა შორის, სესსიამ უნდა განიხილოს იმათი საქმე, რომელთაც ჩაქვის საუფლისწულო მამულის ბუხჰალტერი რახმანინოვი გაძარცვეს.

◆ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ კავკასიის ადმინისტრაციის პროექტს **ტფილისში საგლეხო ბანკის დაარსების** შესახებ უმაღლესი მთავრობა თანაგრძნობით მიეგებაო. ბანკის დაარსებას 1904 წელსა ჰფიქრობენ.

◆ როგორც თელავიდან გვატყობინებენ, თელავსა და აწყურს შუა ვიღაც **ბოროტ-განმზრახველნი** თავს დასცემიან ფოსტას. წაუღიათ ფულად 40 მანეთი და სხვა-და-სხვა ნივთები.

◆ კავკასიის **საცენზურო კომიტეტმა** შუამდგომლობა აღძრა ამ კომიტეტის შტატების გადიდების შესახებ. როგორც გავიგეთ, შუამდგომლობას უმაღლესი მთავრობა მდგომარე წელსვე განიხილავს.

◆ **ხევსურეთიდან გვწერენ:** წელს, დიდ თოვლიან ზამთრის შემდეგ, ხევსურებმა ძლივს გაიტანეს გუთნები და ხვნა-თესვას შეუდგნენ. იჯაურს ბარისახოს სკოლაში ამის გამო სწავლა ნაადრევად შემდეგვე შესწყვიტეს. ამ თვეში მოელიან მაზრის სკოლების მეთვალყურეს. ჰფიქრობენ ხევსურეთში ახალ სკოლების დაარსებას.

◆ კვირას, 18 მაისს, ტფილისის დედათა პირველ **გიმნაზიაში გამართეს წლიური აქტი.** აქტის დასაწყისში მერვე კლასის მოსწავლემ ვაშკევიჩმა წაიკითხა წერილი პეტერბურგის დაარსების შესახებ. შემდეგ წაიკითხეს ლექსები. დასასრულ საჩუქრები დაურიგეს ქალებს კარგის სწავლისათვის. პირველის ხარისხის ჯილდოთი—ქებითი ფურცლებითა და საუკეთესო მწერალთა თხზულებებით დაასაჩუქრეს 53 მოსწავლე ქალი, მეორე ხარისხისა—56 მოსწავლე. დასაჩუქრებულ მოსწავლეთა შორის 63 რუსია, 17 სომეხი, 13 ქართველი 9 გერმანელი, 5 ებრაელი და 1 ბერძენი.

◆ 1902 წლის განმავლობაში ტფილისის **სათავად-აზნაურო სკოლის ახალ შენობაზე** ამშენებელ კომიტეტს დაუხარჯნია სულ—47628 მან. ამ შენობის მესამე სართული, როგორც კომიტეტის მოხსენებიდანა სჩანს, დასრულდება ივლისის პირველ რიცხვებში. კომიტეტის გამოანგარიშებით, მეოთხე სართულს ააგებენ სექტემბრის პირველ რიცხვებში და შემდეგ შეუდგებიან მთელის შენობის გადახურვას და შიგნით მოწყობას. საანგარიშო წელს ფულიდან კომიტეტს 18,000 მან. სესხად აუღია სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკისაგან, 12,000 მან. მიუღია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან, 5000 კერძო შემოწირულებანია და ნარჩენი 12,325 მან. კომიტეტს სხვაგან უშოვნია. სულ პირველ იანვრამდე კომიტეტს შენობაზე დაუხარჯნია 204,782 მან.

◆ ტფილისის **გუბერნიის** ექიმი ბ-ნი ქიქოძე დაბრუნდა ტფილისში და 19 მაისს შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

◆ ტფილისის **საკომერციო სასწავლებელში** ეგზამენები დასრულდა და მოსწავლენი საზაფხულოდ დაითხოვეს.

◆ **პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტს,** საიუბილეო დღესასწაულის გამო, გუშინ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ მილოცვის დეპეშა გაუგზავნა.

◆ ხუთშაბათს, 29 მაისს, სახელმწიფო სათავად აზნაურო სააღგილ მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებაში დანიშნულია მეორედ **საჯარო ვაჭრობა** სოფლის იმ მამულების გასასყიდად, რომელთა პატრონებმა გარდასახადი არ წარადგინეს. ასეთი მამული 26—ია. აქედან 20 მამული ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურისაა, ხოლო 6 ტფილისის გუბერნიისა. ვაჭრობა ბანკის სადგომში დაიწყება დღის 12 საათზედ.

◆ **ოზურგეთიდან** გვწერენ: ამაღლება დღეს, ნაშუადღევის ორ საათზე, სეტყვა მოვიდა. საბედნიეროდ, სეტყვა ძლიერი არ იყო, ამიტომ ვნება დიდი არ მოუტანია.

ამაღლება დღეს, საღამოს 10 საათზე, შემოქმედში, ყაჩაღები დაეცნენ ნ. გოლოგრეს დუქანს. ყვირილზე შევარდნილიყო მეზობლის 18 წლის ყმაწვილი, რომელიც მუცელში დასჭრეს.

◆ ტფილისის **დედათა მეორე გიმნაზიაში ეგზამენები** დასრულდება 10 ივნისს.

◆ ტფილისის **ქალაქის ლომბარდს** ხელახლა შემოაკლდა ფული. რაც თანხა ჰქონდა, სულ გასცა, ასე რომ ამ ჟამად ლომბარდს ფული აღარ მოეპოვება. ამის გამო ლომბარდის გამგემ იშუამდგომლა მოურავის წინაშე, რომ სესხად მისცეს 100 ათასი მანეთი იმ ავანსიდან, რომელიც ქალაქმა ხელშეკრულების ძალით მიიღო უსახელო საზოგადოებისაგან.

◆ 18 მაისს **კრება ჰქონდა** ტფილისის თვით-მმართველობის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ ამასთანავე დაადგინა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად გამართოს წარმოდგენა და სახალხო სეირნობა.

◆ გუშინ, 19 მაისს, **საბებიო ინსტიტუტის** უკანასკნელ კლასში დაიწყო ეგზამენები. ეგზამენები სულ სამ დღეს გასტანს.

◆ კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებამ გადასწყვიტა შემოდგომისთვის გადასდოს იმ მოხსენების განხილვა, რომელიც ტფილისში განზრახულ **საჰიდრავლიკო სადგურის** გამართვას შეეხება.

◆ 10 ივლისს ტფილისში **საექსკურსიოდ ჩამოვლენ** ყაზანის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მოსწავლენი.

◆ 5 მაისიდან 19-მდე ტფილისში 39 შემთხვევა იყო სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავადმყოფობისა. აქედან სახადით ავად გამხდარა—8 კაცი, ყელის ჭირვებით—2, მუცლითა—5, წითელათი—3, ყივანახველათი—3, ციმბირის ჭირით—1 და სხვა.

◆ აპრილის განმავლობაში ქალაქის 10 მორგედ დაწყებით სკოლაში ავად გამხდარა 265 მოსწავლე.

◆ ქალაქის ვაჭართა მამასახლისის თანამდებობაზე არჩეული ვ. ი. ადაბეკოვი უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ პეტერბურგის საიმპერატორო წიგნთ-საცავის გამგემ სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გაუგზავნოს საზოგადოების მოქმედების ანგარიშები 1898 წლიდან 1903 წლამდე.

◆ როგორც ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ, 18 მაისს, ერევნის რკინის გზის ანის სადგურთან ლიანდაგიდან გადავარდნილა მატარებლის ვაგონები.

◆ ნავთლუღის სადგურიდან გვატყობინებენ: 18 მაისს, რკინის გზის მე-292 ვერსზე, ქალაქ ტფილისის მოქალაქე ბაგრატ ოსკალოვი ქვეშ მოჰყვა მატარებელს № 204 და ძლიერ დაშავდა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში დააწვინეს.

◆ ალექსანდროპოლიდან გვატყობინებენ: 18 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, კონდუქტორი ვასილ თაცაბიძე ტორმოზიდან ჩამოდიოდა; ამ დროს ფეხი დაუსხლტა, დაეცა და დაშავდა. დაშავებული რკინის გზის ტფილისის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ევროპა და ამერიკა დიდ თანაგრძნობას უწევს კიშინევში დაზარალებულ ებრაელებს. ლონდონში წარსულ კვირას უნდა გაემართათ მიტინგი დაზარალებულთათვის ფულის შესაკრებად. უნდა გაემართა ეს მიტინგი „ტაიმსი“-ს კორესპონდენტს, რომელიც კიშინევში იყო და ამას წინად უკან დაბრუნდა. ასეთი მიტინგი გამართა პარიზში ლერუა-ბოლიემაც. ბრიუსელშიაც ემზადებიან სამიტინგოდ. ბერლინში ფულსა ჰკრებავენ. ჯერ-ჯერობით 125,000 მარკა შეაგროვეს.

ბიაო. უთხრა მიტომ, რომ მუქთად წავსულიყავი მატარებლით. ერხელ კიდევ ჩემმა მასწავლებელმა მითხრა: იყავ ბეჯითი, იყავ პატიოსანი და მაშინ ცხოვრებაში ყველაფერი გაგიადვილდება, ყველაფერს მიაღწევო. ის რომ მართალი არ იყო, მე ძალიან ადრე გავიგე. მამა ჩემი სინდისიერი, გულკეთილი კაცი იყო და ერთმა გათახსირებულმა კაცმა, რომელიც ახლაც მეტად მდიდარია, მოტყუილებით წაართვა რამდენიმე ათასი ტალერი. აი, ამავე გათახსირებულ კაცს, რომელსაც საპნის დიდი ქარხანა ჰქონდა, მამა ჩემი, სიღატაკის გამო, იძულებული გაჰხდა მიჰქირავებოდა.

ელენე. აქ ვერავინ ვერ გაბედავს ხმა მაღლა უწოდოს ამ საქციელს უსამართლობა. ისიც დიდი იქნება, ეს რომ გულის სიღრმეში იგრძნოს. მაგრამ ხანდისხან გრძნობ ამას, თითქმის ხშირადაც,—და მაშინ ისეთ სასოწარკვეთილებას ეძლევი.

ლოტი. მახსოვს ერთი შეუსაბამობა, რომელმაც განსაკუთრებით მიიქცია ჩემი ყურადღება. მანამდის ვფიქრობდი, რომ მკვლელი, როგორც დამნაშავე, ყოველ შემთხვევაში უნდა დაისაჯოს მეთქი. მაგრამ ამის შემდეგ კი ნათლად გავიგე, რომ უკანონოდ ითვლება მხოლოდ სულ უბრალო მკვლელობანი.

ელენე. ესე იგი, რა ნაირად...

ლოტი. ...ჩვენ ვცხოვრობდით ქარხანასთან და ჩვენი ფანჯრები ქარხნის ეზოსაკენ იყო. დიახ, ბევრი, ბევრი რამ ვნახე. იქ იყო ერთი მუშა, რომელმაც ქარხანაში ხუთი წელიწადი დაჰყო. ხველება დააწყებინა და საშინლად დასუსტდა. მახსოვს, როგორ მოგვიყვებოდა მამაჩემი: ბურმეისტრი—ასე ეძახდნენ მუშას—თუ კიდევ განაგრძობს მუშაობას საპნის ქარხანაში, უთუოდ დაჰლექდებაო: ექიმმა პირდაპირ უთხრა. იმ მუშას რვა შვილი ჰყავნდა. იმდენად დასუსტებული იყო, რომ სხვა სამუშაოს მოპოება არ შეეძლო. იძულებული იყო საპნის ქარხანაში ემუშავნა, და ქარხნის პატრონი, რასაკვირველია, დიდ მოწყალებად უთვლიდა, რომ ისევ ქარხანაში დასტოვა მუშად. თავისი თავი იმას მეტად გულმოწყალე კაცად მიაჩნდა. აგვისტოში, ერთ სიცხიან დღეს, ის მუშა დიდის გაჭირვებით მიათრევდა კირით სავსე ხელით საზიდ პატარა ურემს. მაშინ ფანჯარაში ვიცქირებოდი. შევამჩნიე, რომ შეჩერდა, დაბარბაცდა და უცებ დაეცა ქვებზედ. მაშინვე მუშისაკენ გავეშურე, მიჰვარდა მამაც, მოვიდნენ სხვა მუშებიც და ის კი ხრინავდა, პირი სისხლით ჰქონდა სავსე. სახლში მივიყვანეთ. იმისი სადგომი წარმოადგენდა ძონძების გროვას, კირითა და სხვა ნივთიერებისაგან იყო გაჟღენთილი. ჩვენ ვერ მოვასწარით, რომ ის სახლში ცოცხალი მიგვეყვანა, გზაში მოკვდა.

ელენე. ოჰ, ღმერთო, რა საშინელებაა.

ლოტი. ერთი კვირის შემდეგ მისი ცოლის გვამი ამოვათრიეთ მდინარიდან, რომელსაც ერთვოდა ქარხნიდან უვარგისი წყალი. დიახ, ქალბატონო, როცა იცი ყველა ეს ისე, როგორც ეხლა მე ვიცი, მაშინ, დამერწმუნეთ, მოსვენებით ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია.

ასეთმა ბაასმა სრულიად შესცვალა ელენე, გააფართოვა იმისი შეხედულება ცხოვრებაზე, ბევრი რამ შეიტყო ამ ბაასით. ელენეს იმედი დაებადა, ბრძოლის სურვილი აღეძრა. იმან შეგნებულად შეიძულა ის გახრწნილი წრე, რომელშიაც ამდენ ხანს სცხოვრობდა, შეიძულა და მოინდომა ახალი ცხოვრების დაწყება. ლოტმა გაურკვია ნამდვილი ცხოვრების ავ-კარგი, ცხოვრების სიდუხჭირე. ეხლა იმან დაჩაგრულ ხალხის სასარგებლოდ უნდა იშრომოს, შეძლებისა დაგვარად უნდა შეაგნებინოს ხალხს თავისი საცოდავი მდგომარეობა და ბრძოლის ველზე გამოიყვანოს. ეს მისწრაფება ჩაუნერგა ელენეს ლოტმა. რასაკვირველია, ელენეს ბევრი უნდა ემაცადინა, რომ თავისი სურვილი განეხორციელებინა, რასაკვირველია, მარტო სიტყვები არაფერს არ ამტკიცებს, საჭიროა მედგარი ბრძოლა, აქტიურ მონაწილეობის მიღება. ყველა ამას განახორციელებდა ელენე, რომ გარემოებას ხელი შეეწყო, ე. ი. გარყვნილ ოჯახს მოჰშორებოდა. თუ ადამიანი გულწრფელად თანაუგრძნობს რაიმე კეთილ საქმეს, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ეს თანაგრძნობა შეიცვლება აქტიურ ბრძოლად, თუ-კი გაჩნდება ისეთი კაცი, რომელიც დაეხმარება მიმართულების გამორკვევის საქმეში. ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ ელენეს შეეძლო კარგ პიროვნებად გამხდარიყო, ლოტს რომ არ მიეტოვებინა.

როგორც ზევითაა ნათქვამი, ლოტს და ელენეს ერთმანეთი ძლიერ უყვართ და კიდევაც გადასწყვიტეს ერთად ცხოვრება. მაგრამ ამ დროს ლოტმა შეიტყო, რომ კრაუზეს შვილები ალკოჰოლიკები არიან, რომ გოფმანს პატარა შვილიც მოუკვდა ამის გამო. ეშინიან, რომ იმისი შვილებიც დაიწყებენ არყის სმას, რომ იმისი შთამომავლობაც ავადმყოფი იქნება და სტოვებს ელენეს, თუმცა ნაცნობი ექიმი ეუბნება, რომ შესაძლებელია ნაციონალურმა აღზრდამ იხსნას თქვენი შვილები ამ სენისაგან და ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ თვითონ ელენე არა სვამს, გოფმანის ცოლი კი უზომოდ სვამს არაყს. მიუხედავად ამ რჩევისა, ლოტი თავისას არ იშლის და სამუდამოდ სტოვებს თავის სატრფოს. გაიგებს თუ არა ამ ამბავს საწყალი ელენე, თავს იკლავს. ამით თავდება დრამა.

დიდი ნაკლი ამ დრამისა ის არის, რომ უკანასკნელ მოქმედებაში ლოტი ღალატობს თავის პრინციპს და საყვარელ ადამიანის დაცვის მაგივრად, იპარება. ამით, რასაკვირველია, იმან დაკარგა მნიშვნელობა ჩვენს თვალში. ჩვენ უფლება გვაქვს, ლოტს ფრაზიორობა შევსწამოთ. იგი, როგორც ზემოდაც გვაქვს ნათქვამი, მუდამ გონებას ემორჩილება, გრძნობა იმას არ იტაცებს, ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ ასეთმა კაცმა არჩიოს საცოდავ არსების მარტო დატოვება. ბევრსა ჰგონია, რომ ლოტი ფრაზიორია, მაშინაც, როდესაც თავის შეხედულებას ურკვევს ელენეს. შემცდარი აზრია. ლოტი, რომელსაც სწადიან, რომ რაც შეიძლება მეტი თანამგრძნობი ჰყავდეს მუშა ხალხს, სარგებლობს შემთხვევით და ისეთი გულწრფელი ადამიანი, როგორიცაა ელენე, თავის მხარეზე გადაჰყავს. რასაკვირველია, ლოტს ახალი არა უთქვამს-რა, ცხადია ისიც, რომ იმისი ფრაზები მეტად შაბლო-

მაინის ფრანკფურტში შეაგროვეს 50,000 მარკა. ჩრდილოეთ-ამერიკის ქალაქებშიაც ჰმართავენ მიტინგებს და ჰკრეფავენ ფულს დაზარალებულთათვის. პარიზში რუსთა უმაღლესმა სკოლამ ლექციები წააკითხა კოვალევსკისა და დე-რობერტის და შემოსავალი —580 ფრანკი—დაზარალებულთ გამოუგზავნა. ამერიკისა და ევროპის გაზეთებში დაწვრილებით იყო აწერილი კიშინევის ამბები. როდშილდმა ებრაელთა სასარგებლოდ შესწირა 500,000 ფრანკი.

◆ ბესარაბიის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებანი გამოსცა. ამ დადგენილებათა ძალით, აღკრძალულია ყრილობანი ქუჩებსა, მოედნებსა და სხვა ადგილებში. სოფლებშიაც აკრძალულია ყრილობები, სოფლის საზოგადოებათა კანონიერ ყრილობების გარდა. აკრძალულია აგრეთვე ქუჩებსა და ტროტუარებზე ხალხის ჯგუფებად გაჩერება. პოლიციის ბრძანებას ყველა ხმა ამოუღებლივ უნდა დაემორჩილოს. აკრძალულია ნება-დაურთველად იარაღის ხმარება და სახლში შენახვა. აკრძალულია ისეთი ტროსტების ხმარება, რომელშიაც დანებია. დამნაშავეებს ან დააპატიმრებენ სამ თვემდე, ან ჯარიმას გადაახდევინებენ 500 მანეთამდე, ან კიდევ სავაჭრო დაწესებულებას დაუკეტენ.

◆ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა მუშაობა განაახლა სასკოლო რეფორმის საქმის განსახილველად. უკანასკნელ კრებაზე კომიტეტმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია ბუნების მეტყველების სწავლებას საშუალო სკოლაში. როგორც ვუწყით, შემუშავებულია სამი ტიპი საშუალო სკოლისა. ჰფიქრობენ, ბუნების-მეტყველება სამსავე ტიპის სკოლაში შემოიღონ. დაწვრილებითი პროგრამმა ჯერ არ შეუმუშავებიათ.

◆ ასხაბადისაკენ საოცარი წყალ-დიდობაა თურმე. მურგაბი მთლად წაულეკია გადმოვარდნილ წყალს. რკინის გზის ლიანდაგი სამის სადგურის მანძილზე გაუფუჭებია. მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ: არა აქვთ საკვები და ვერც სხვა ადგილებიდან მიუტანიათ. ზარალი მეტად დიდია.

◆ სააქციზო უწყებას შეუმუშავებია პროექტი ვაჭრობის დროს შემცირების შესახებ რესტორანებსა და გასართობ დაწესებულებებში. ახალ-წესებს მომავალ წლის ზაფხულიდან შემოიღებენ იმ გუბერნიებში, სადაც არყის მონოპოლიაა. პროექტით მეორე ხარისხის რესტორანებსა და გასართობ დაწესებულებებში ვაჭრობა უნდა მოისპოს უსათუოდ ღამის 12 საათზე, პირველ ხარისხისაში — ორ საათზე.

◆ გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ წესებს, რომელიც შეეხება თამბაქოს წევას ვაგონებში.

◆ ხარკოვში არსებობს ხელოსანთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა: ნება მიეცეს ამ გვარ საზოგადოებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის კრება მოახდინოს. კრება უნდა მოხდეს ხარკოვს. პროგრამმაში, სხვათა შორის, შემდეგი მუხლებია: 1. გაადვილება ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოებათა დაარსებისა; 2. ამ საზოგადოებათა წესდებების გაფართოება; 3. კავშირის დაარსებით საზოგადოებათა გაერთიანება; 4. მუშა ხალხის სხვა და სხვა საჭიროება.

◆ 10 მაისს როსტოვში ერთი მოხერხებული აფერისტი შეიპყრეს. ეს ვაჟბატონი ყველას ეუბნებოდა, როსტოვში გამოგზავნილი ვარ საიდუმლო პოლიციის მოსაწყობადაო. დაუქერია აგენტები, გაუმართავს ბიურო და შესდგომია „საქმეს“. ყველა აგენტს ბეს ართმევდა და ასე კარგა ბლომა ფული შეუკრებია.

◆ „ნოვ. ვრემია“-ს საინტერესო ცნობები მოჰყავს გენერლების რიცხვის შესახებ რუსეთში. როგორც ამ „გენერალთა სტატისტიკიდანა“ სჩანს, არც ერთ სახელმწიფოს ჯარში იმდენი გენერალი არის, რამდენიც რუსეთში. თუ გერმანიის ჯარს ავიღებთ, შედარებით ჩვენ 486 გენერალით მეტი გვყავსო, ამბობს გაზეთი.

◆ 17 მაისს დასრულდა ეგზამენები პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში. წელს სწავლა გაათავა 140 ქალმა.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი პავლე ვიშნევსკი კოვენის გუბერნიის ერთმა ბოქაულმა სამართალში მისცა. მიზეზი ის იყო, რომ ამ სტუდენტმა ბოძებზე გააკრა პოლიცმეისტერის მიერ ხელმოწერილი აფიშა ლიტვურ ენაზე წარმოდგენის გამართვის შესახებ. განცხადება ლათინურ-პოლონურ შრიფტით იყო დაბეჭდილი. მოსამართლემ დააჯარიმა სტუდენტი, რადგან ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში აკრძალულია ლათინურ-პოლონურ შრიფტით ბეჭდვა.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად ტომსკის საპყრობილეში არეულობანი მოხდა. ეხლა, როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, იმავე საპყრობილეში თავი დაუწვავს ერთ ტუსაღს. ეს ტუსაღი „საიდუმლო“ განყოფილებაში ყოფილა დაპატიმრებული. ერთ საღამოს ფეხის ადგილში გასულა, ჩამოუღია იქ ლამფა, გადაუსხამს ტანზე ნავთი და მერე ცეცხლი წაუკიდებია. ორი თუ სამი საათის შემდეგ ტუსაღი გარდაცვლილა.

პრესსა

„ვესტ იუგა“ სწერს სტუდენტების შესახებ. „თანამედროვე სტუდენტი,—ამბობს გაზეთი,—ნაყოფია საშუალო სკოლისა, ე. ი. კლასიკურ სისტემისა“.

ხოლო როდესაც ეს სისტემა შემოიღეს, შჩედრინმა შეადგინა თავისი სატირიული პროექტი „ახალ თაობის გრძნობათა დაჩლუნგების საჭიროება“. ამ პროექტით, ავტორი ჭაბუკებს ურჩევდა ეთიოპთა კილოს შესწავლას და ტანის მოძრაობით ლაპარაკს... ამ სისტემას, ავტორის აზრით, უნდა შეექმნა წყნარი და კეთილ-საიმედო ხალხი. დიდებულ სატირიკოსის რეცეპტით „მომზადებული“ სტუდენტი დღესაც ბევრი მოიპოვება.

ახალი თაობა საშუალო სკოლიდან უნივერსიტეტში სრულიად მოუმზადებელი შედის. აძლევენ ატესტატებს, თუმცა არც ცოდნა აქვთ და არც იდეალები მოეპოვებათ. ამ ატესტატით შეიარაღებული ყმაწვილი კაცი შედის უნივერსიტეტში, სადაც პროფესორმა მეცნიერება უნდა გადაუშალოს. რაღა თქმა უნდა, სტუდენტს მაგდენად არც მეცნიერება აინტერესებს და არც პროფესორი.

შემდეგ ავტორი, თავის აზრის დასამტკიცებლად, გვაცნობ ზოგიერთ სტუდენტებს. თუ ავტორს დაუჯერებთ, ბევრი სტუდენტი ყოფილა სრულიად უვიცი.

იურიდიულ ფაკულტეტის ერთ სტუდენტს სახელმწიფო უფლების ეგზამენზე ჰკითხეს, რამდენი პალატაა ინგლისშიო. ჭაბუკმა ასეთი კითხვა იუკადრისა. „როგორი პალატა?—შეეკითხა თავის მხრივ:—საკანტროლო თუ სახაზინოო?“ აი, მეორე მაგალითიც. მესამე კურსის სტუდენტმა, მაშასადამე ისეთმა, რომელსაც ნასწავლი ჰქონდა პოლიტიკური ეკონომია და სახელმწიფო უფლება, არ იცოდა საჭმელია თუ სასმელი „ასოციაცია“ და „მომხმარებელი საზოგადოება“. მეორეს არასოდეს არ გაეგონა კარლ მარქსის სახელი. მესამემ განმარტა, რომ „მელიორაცია“ წვრილი ფულიაო. მეოთხე ეხლა-ხან ურთ-ერთ თავმდებობაზე ლაპარაკობდა და კი არ იცოდა, რომ თავმდებობა ამ რამდენისამე კვირის წინად გაუქმდა. პროფესორმა უთხრა ამ სტუდენტს, რომ უმაღლესი მანიფესტი გამოვიდა ეხლა ურთ-ერთ თავმდებობის გაუქმების შესახებაო. „როდესაც ეგზამენისთვის ვემზადები, გაზეთებს არა ვკითხულობო!“ ამაყად და რიხით მიუგო სტუდენტმა. შემდეგ ამხანაგებს ეუბნებოდა: „კარგი ამბავი თუ გნებავთ ეს არის! მოამზადე კურსი, გაიზეპირე სამი დიდი წიგნი და ამავე დროს ეგზამენებისთვის გაზეთებიც წაიკითხე!“ ყოველივე ეს, რაც ჩვენ აქ აღვნიშნეთ, ახალი ამბავი არ არის იმათთვის, ვინც სტუდენტობას კარგად იცნობს.

რა თქმა უნდა, ასეთი უვიცი სტუდენტი ბევრი არ იქმნება, მაგრამ ცოტაც საკმაოა დღევანდელ საშუალო სკოლისა და უნივერსიტეტის დასახასიათებლად. წერილის ავტორის აზრით, მიზეზი ამ გვარ უვიცობისა საშუალო სკოლაა, რომელიც ვერაფერსა სძენს და გონებას ვერ უმდიდრებს მოსწავლეს.

⁂

მოგეხსენებათ, „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-სა და იმის სახელგანთქმულ რედაქციას ყველგან და ყველაფერში დამნაშავეებათ ადგილობრივი მკვიდრნი, ამიერ-კავკასიელნი მიაჩნიათ. ისე ამ გაზეთის ნომერს არ აიღებთ ხელში, რომ ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენ შემკობილნი. „უკულტურობას“, „ველურობას“ ერთის სიტყვით ყველაფერსა გვწამებს ეს ოპერეტის „უშიშარი და უებარი რაინდი“. აი, ეხლაც ნიკ. ჯავრიშვილის მკვლელობა ჩვენის უკულტურობისა და „სამხრეთ ტემპერამენტის“ შედეგად მიაჩნია. ავტორს, როგორც ეტყობა, წაუკითხნია ტფილისურ გაზეთებში, რომ ვიღაც გ.—ნმა რევოლვერი ამოიღო და დაახალა ჯავრიშვილსაო და უფიქრნია, უთუოდ ეს ამიერკავკასიელი იქმნებაო. ამიტომ დიდის რიხით გაიძახის: „აი, რა შედეგი მოსდევს იარაღის ტარებასაო“! ნეტა, რას იტყვის თანამშრომელი და თვით რედაქტორი, როდესაც გაიგებენ, რომ გ.—ნს კანონის ძალით სრული უფლება ჰქონდა იარაღის ტარებისა?

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება

(კორესპონდენცია)

17 მაისს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას უნდა ამოერჩია გუბერნიის წინამძღოლი და დეპუტატთა საკრებულოს მდივანი. თითო თანამდებობაზედ ორ-ორი კანდიდატი იყო ასარჩევი. გუბერნიის წინამძღოლის კანდიდატებად დაასახელეს ეხლანდელი წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, ქუთაისის მაზრის წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე და როტმისტრი თავ. ღ. მხეიძე; მდივნის კანდიდატებად—დ. ბ. მდივანი და მ. თ. დიდია. თავ. პ. გ. წულუკიძის აზრით, მდივნის ორივე კანდიდატმა არ უნდა დაიდგან ყუთი. თავმჯდომარემ საჭიროდ დაინახა, რომ ორი ყუთი დაიდგას, რადგან ორი კანდიდატია ასარჩევიო. ორსავე კანდიდატს უყარეს კენჭი, აღმოჩნდა, რომ დ. ბ. მდივანმა მიიღო 207 თეთრი და 77 შავი; მ. თ. დიდიამ—176 თეთრი და 108 შავი. ამგვარად ორივე აარჩიეს. შემდეგ კრებამ ერთხმად აირჩია სახელმწიფო ბანკის წევრებად თავ. გ. ჩიჩუა და თავ. ვ. წერეთელი (ისევ ძველები).

შეუდგნენ გუბერნიის წინამძღოლის არჩევას. პირველად ყუთი დაიდგა თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც თავმჯდომარის ადგილი დაუთმო მაზრის წინამძღოლს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს. საზოგადოების ერთი ნაწილი თხოულობდა, რომ თავ. ნიჟარაძემ დასტოვოს თავმჯდომარის ადგილიო. თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ კანონის ძალით თავ. ნიჟარაძეს ნება აქვს ჩემის კენჭის ყრის დროს თავმჯდომარედ იყოსო, ხოლო მე იმის კენჭის ყრის დროს; მაგრამ, რადგან საზოგადოებასა ჰსურს, რომ თვითონ დაინტერესებული პირები არ იყვნენ თავმჯდომარედ, ამიტომ მე უარს ვაცხადებ თავ. ნიჟარაძის კენჭის ყრის დროს თავმჯდომარეობაზეო. შეუდგნენ კენჭის ყრას. თავ. ნიჟარაძემ გამოიწვია თავმჯდომარის ადგილზე შორაპნის მაზრის წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი. კენჭის ყრის შედეგი ასეთი აღმოჩნდა: თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ მიიღო 111 თეთრი და 183 შავი.

ყუთი დაუდგეს თავ. დ. ო. ნიჟარაძეს. საზოგადოება თხოულობდა, რომ თავ. მხეიძესაც ეხლა დაედგა ყუთი. აღმოჩნდა, რომ თავ. მხეიძეს მთავრობისაგან ნებართვა არ ჰქონია აღებული ყუთის დადგმაზე, მაგრამ, როგორც განმარტეს, ეს არ ყოფილა დამა-

---

ნიურია, მაგრამ ნუ დაგავიწყდება ისიც, ვისთან ჰქონდა საქმე. ლოტი მშიშარა და ფრაზიორია მხოლოდ მაშინ, როდესაც სტოვებს ელენეს და მიდის სოფლიდან, თუმცა საჭირო სტატისტიკური ცნობები არ შეუკრებია; მიდის იმიტომ, რომ არ უნდა დარჩეს იმ სოფელში, სადაც სცხოვრობს იმისი ყოფილი სატრფო. ეს გარემოება პიესის ნაკლია იმიტომ, რომ ლოტის ფილისტერობას ვტყობილობთ მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში, მანამდის კი მკითხველი იმას თანაუგრძნობს. იმან მხოლოდ ბოლო დროს დაგვანახვა თავისი ნამდვილი ფიზიონომია და ამიტომ ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ადვილად შესაძლებელია, რომ ნამდვილ ცხოვრებაშიაც იყოს ასეთი პირები, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის ადამიანი, რომელსაც შესისხლ-ხორცებული აქვს ლოტისთანა ჰუმანიური იდეები, არ ჩაიდენს იმას, რაც ჩაიდინა ლოტმა. შეგვიძლიან მაგალითი მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებლათ: ყველამ კარგად იცის, როგორ იტაცებდა სიყვარულით ლასსალს, რომელიც სამართლიანად ითვლება „მეოთხე წოდების“ საუკეთესო იდეოლოგად. ამ შემთხვევაში ჰაუპტმანს ეტყობა ნატურალისტების ცუდი გავლენა. პიესა გაცილებით უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ლოტი რომ კარგათ იყოს დახატული. საერთოდ კი ეს პიესა ჰაუპტმანის საუკეთესო პიესათა რიცხვს ეკუთვნის. მშვენიერათ ახასიათებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას და ამ საზოგადოების გათახსირებას. ის საზოგადოება, რომელიც შესდგება კრაუზესა და გოფმანისანა დაცემულ ადამიანთაგან და ისეთ სუსტ არსებათაგან, როგორიც ელენე და ლოტია, ასეთი საზოგადოება მართლაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია, მართლაც „მზის ამოსვლის წინ“ ვცხოვრობთ. ალკოჰოლიკი კრაუზე, რომელსაც არაყის მეტი არა ახსოვს რა, იმისი გარყვნილი ცოლი, ბურჟუა-ინტელიგენტი გოფმანი, რომელიც ფულსა სცემს მხოლოდ თაყვანს, გამოუცდელი ელენე, რომელიც საშინლად იტანჯება გათახსირებულ წრეში ყოფნის გამო, მაგრამ ვერ ჰბედავს-კი პროტესტის საჯაროდ გამოცხადებას—აი, დღევანდელ წყობილების ნაყოფი, დღევანდელი საზოგადოება.

ამ ატმოსფერაში პატიოსანი ადამიანი, ისეთი, როგორიც ელენეა, იღუპება. იმას ჰსურს სხვანაირად იცხოვროს, იმას არ აკმაყოფილებს თავისი საცოდავი მდგომარეობა. მაგრამ გარშემო მხოლოდ გახრწნილებასა და ვერაგობას ჰხედავს, ჰხედავს ისეთ კაცებს, რომელთაც მხოლოდ ფული ამოძრავებთ, ჰხედავს ზნეობა დაცემულ კაცებს, ამიტომ ბრძოლას ვერ ახერხებს და იღუპება. იმათ არ შესწევთ ძალა, რომ თვითონ შეიგნონ ცხოვრების სიდუხჭირე და ამ სიდუხჭირის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, იმათ არა ჰყავთ ცხოვრების ნამდვილი მასწავლებელნი, ამიტომ ამ საცოდავ არსებათა ცხოვრება ასე უნუგეშოდ თავდება.

ალკოჰოლიზმი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელ თვისებას. დღეს ბევრისათვის ახალი ამბავია, რომ ალკოჰოლიზმის განვითარების მიზეზი—სოციალური პირობებია, რომ საზოგადოების ღარიბ კლასებში ალკოჰოლიზმი ისე, როგორც პროსტიტუცია, ვრცელდება მხოლოდ სიღატაკის გამო. დააკმაყოფილეთ ხალხის ნივთიერი და გონებრივი მოთხოვნილებანი და ალკოჰოლიზმი, როგორც სოციალური ავადმყოფობა, უთუოდ მოისპობა. მდიდარ კლასებში კი ალკოჰოლიზმი ვრცელდება ფუფუნების გამო, ვრცელდება იმიტომ რომ არ იციან, რას მოახმარონ აუარებელი სიმდიდრე. თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ამ ავადმყოფობას, ამის შესახებ ლაპარაკი მეტია, ვიტყვით მხოლოდ, რომ ლოთობა ასახიჩრებს არა მარტო თვით აქტიურ ლოთებს, არამედ იმათ შთამომავლობას, იმათ შვილებს და შვილისშვილებს.

ალკოჰოლიკთა ოჯახს წარმოადგენს კრაუზეს სახლობა. კრაუზეს ერთი ქალიშვილი, გოფმანის ცოლი, უზომოდ სვამს არაყს. წარმოიდგინეთ გოფმანის პატარა ბავშვიც კი არაყის მსხვერპლი გახდა. არყის წყალობით, გოფმანის ცოლს მკვდარი ბავშვი გაუჩნდა. როდესაც ამ ამბავს გაიგებინებს ელენე ლოტს (მეხუთე მოქმედების ბოლოს), სცენაზე ისმის ხმა მთვრალის კრაუზესი: „განა, მე ლამაზი კაცი არა ვარ! განა, ლამაზი ცოლი არა მყავს, განა ლამაზი ქალიშვილები არა მყავან. განა, მე ლამაზი კბილები არა მაქვს? განა, მე ლამაზი ბაღი არა მაქვს? ჩემი ფულები!“.. ამავე დროს მეორე ოთახში ელენე, შეიტყო თუ არა ლოტის გაპარვა, თავს იკლავს, ამას ამბობს იმ დროს, როდესაც იმის ქალს მკვდარი ბავში დაებადა.—სწორედ მშვენიერი სცენაა და ეს ადგილი დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენს მკითხველზე. მართლაც რომ მხოლოთ ნიჭიერი მწერალი დასწერდა ასეთ საუცხოვო სურათს, როგორიცაა ეს სურათი. თქვენ თვალწინ საზოგადოების დაცემაა, მთელი საზოგადოების უნუგეშო მდგომარეობა; ამიტომ ის მკითხველი, რომელსაც ცოტათი მაინც აინტერესებს კაცობრიობის ბედიღბალი, მწარე ფიქრებს ეძლევა. იგი ეთანხმება ჰაუპტმანს, რომ მართლა „მზის ამოსვლის წინ“ ვცხოვრობთ, რომ საჭიროა ახალ ცხოვრების შექმნა, რომ მხოლოდ ახლო მომავალში, როდესაც მოისპობა ის მთავარი მიზეზი, რომლის მიზეზითაც ყველა ესა ხდება, დაიბადება სულით მთელი პიროვნება და საზოგადოება.

ასეთია ამ დრამის შინაარსი, ასეთია დრამის უმთავრესი იდეა. ეხლა მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რად დაუხვდნენ შედარებით ისე ცუდად ამ დრამას გერმანიაში, რისთვის ამხედრდა ჰაუპტმანის წინააღმდეგ ეგრეთ წოდებული „დიდი“ საზოგადოება.

ივ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ბრკოლებელი მიზეზი, და იმასაც დაუდგეს ყური. კენჭების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მიიღო 187 თეთრი და 103 შავი: თავ. დ. მხეიძემ—118 თ—172 შავი. ამგვარად ასარჩევი შეიქნა კიდევ მეორე კანდიდატი. ზოგიერთებმა დაასახელეს უგანათლებული თავადი გ. მ. შერვაშიძე. თავ. დ. ო. ნიჟარაძე გამოვიდა სცენაზე და სთქვა: „რაღაც მითქმა-მოთქმა მესმის; ასახელებენ კანდიდატად უგან. თავ. შერვაშიძეს. მე სრულიადაც არ მიფიქრნია თავ. შერვაშიძის წინააღმდეგ გამოსვლა. ეხლა ზოგიერთებს ვითომ ჩემი შერცხვენა ჰსურს, მაგრამ მე სრულიადაც სასირცხვოდ არ მივიჩნევ, რომ თავ. შერვაშიძე ჩემზე უკეთ არჩეულ იქმნეს. მე ვთხოვ საზოგადოებას, განსაკუთრებით ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთ, რომ დაითანხმონ თავ. შერვაშიძე და ერთხმადაც აირჩიონ. ჩემთვის ეს, გარწმუნებთ, ძლიერ სასიამოვნოც იქნება, რადგან მე დიდ პატივსა ვცემ თავ. შერვაშიძეს, როგორც ღრმად განათლებულსა და ღირსეულ კაცს. „საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშითა და „ვაშა"-ს ძახილით დააჯილდოვა თავ. ნიჟარაძე.

კენჭი უყარეს თავ. შერვაშიძეს, რომელმაც მიიღო 228 თეთრი და 29 შავი. კიდევ ტაშის ცემითა და ვარდების სროლით მადლობა გამოუცხადეს თავ. ნიჟარაძეს. შემდეგ სცენაზე გამოცხადდა თავ. შერვაშიძე, რომელიც ტაშის ცემით მიიღო საზოგადოებამ· იმან მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას არჩევისთვის და აღუთქვა, ვეცდები, რომ თქვენი ნდობა გავამართლოო. ამით გათავდა არჩევნები. შემდეგ მოვიდა ბ-ნი გუბერნატორი და კრება დახურა.

დონ-ბაღაანი

P. S. 16 მაისს მაზრის წინამძღოლთა არჩევნების დროს არჩეულ იქმნენ: ა) შორაპნის მაზრაში: წინამძღოლად თავ. ს. დ. წერეთელი (40 თ.). იმის თანაშემწეებად—თავ. ნ. კ. ხიდირბეგიშვილი (34 თ.—1 შ.) და ნ. ს. მაჭავარიანი (22 თ.—15 შ.); დეპუტატებად—ზ. კ. მაჭავარიანი და ა. ნ. აბაშიძე. ოზურგეთის მაზრაში: წინამძღოლად თავ. კ. დ. ერისთავი (50 თ.), კანდიდატად—ნ. ს. თაყაიშვილი (30 თ.—15 შ); დეპუტატებად ს. თ. ხუნდაძე (40 თ.—0 შ.) და თავ. ტ. დ. გურიელი.

დ. გ.

წერილი ბაქოდან

ქართული წიგნთ-საცავ-სამკითხველო

10 მაისს აქაურ ქართველებს კრება ჰქონდათ სამკითხველოს დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. ბაქოში მკერვალიშვილს აქვს რუსულ-ქართული წიგნთ-საცავი. მკერვალიშვილმა გამოუცხადა აქაურ საზოგადოებას: აგერ ორი წელიწადია, რაც ვინახავ და ვაწარმოებ ამ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს; მიუხედავად ამისა საზოგადოებაში ჩემზე სხვა-და-სხვა ცუდი აზრი ტრიალებს, რისთვისაც ვუთმობ საზოგადოებას ამ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, იმ პირობით კი, რომ აწარმოვოს იგი და არ დახუროს; თუ საზოგადოება ვერ შესძლებს შენახვას და დახურავს მას, იმ შემთხვევაში დამიბრუნონ უკან ჩემი წიგნთ-საცავ-სამკითხველოო. ამ პირობაზე საზოგადოებამ გადაჭრით უარი უთხრა. ნ. დეკანოზიშვილმა ამის შესახებ სთქვა, რომ მკერვალიშვილს ნება არა აქვს ამ პირობით გადასცეს ეს არსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რადგან იგი ეკუთვნის საზოგადოებას, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მკერვალიშვილმა, როგორც გამგემ წინანდელ საერთო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი 1900 წელს, საზოგადოების სახელით გამოიტანა ქალაქის საბჭოდან ექვსასი მანეთი ფული, რომელიც უნდა მოხმარებოდა საერთო სამკითხველოს, მაგრამ მკერვალიშვილმა ეს ფული თვითონ მოიხმარა: დააარსა თავისთვის სამკითხველო, რომელსაც ეხლაც აწარმოებს. ამის გამო მკერვალიშვილი ვალდებულიცაა ყველაფერი გადასცეს საზოგადოებასაო. მკერვალიშვილმა ამის შემდეგ უპირობოთ დაუთმო საზოგადოებას წიგნთ-საცავ-სამკითხველო. შემდეგ აირჩიეს კომიტეტის წევრებად: ქ-ნნი დარია მალიევა, ეფემია მესხი, მ-ნნა არისტაკესოვისა, ბ-ნნი ი. ელიაშვილი, ი. მანსვეტოვი, დ. ხერხეული, ნ. დეკანოზიშვილი, ვ მაჭავარიანი, მიქაბერიძე, ვ. კორძაია, კვაჭაძე, ერისთავი, კალანდარიშვილი, ჩხეიძე, კახაძე, ნ. მაჭავარიანი და ჭონიშვილი (ხუთი ამათგანი კრებას არ დასწრებია).

ამათ მიანდეს: შეიმუშაონ წესდება; ჩამოართვან მკერვალიშვილს ნოტარიუსის წესით უფლება, რომელიც მას აქვს აღებული მთავრობისაგან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გასახსნელად ბაქოში; გამოართვან მკერვალიშვილს, თუ, რასაკვირველია, თანხმა იქმნება, დღევანდელი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მოწყობილება წიგნებიანად მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ დაუთმობს საზოგადოებას უსასყიდლოდ თავის საკუთრებად; მიიღონ ძველ საზოგადოებისაგან დარჩენილი საზოგადოების წიგნები და ავეჯეულობა; ნება აქვს კომიტეტს ვის სახელობაზედაც უნდა, გახსნან წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მხოლოდ ჩამოართვას ცალკე წერილობით პირობა, რომ იგი წიგნთ-საცავ-სამკითხველო ეკუთვნის მთლად ბაქოს ქართველ საზოგადოებას; მოჰკრიბონ ფული და შეიძინონ წევრები; შეიმართონ სადაც კი დაინახავენ საჭიროდ საზოგადოების სახელით, რომ რაიმე შემწეობა აღმოუჩინონ სამკითხველოს, მაგალითად: ქალაქის საბჭოს, ნავთის მწარმოებელთ და სხვა ფირმებს; იზრუნონ ბაქოსა და იმის მიდამოებში ქართულ წარმოდგენების გამართვისათვის, როგორც ერთ გვარი სახსარი შემოსავლისა; კრების მოწვევის ნება ჰქონდეთ; უკეთუ ბაქოში შესდგა რაიმე ქართული საზოგადოება ურთიერთ შორის დამხმარებელი, მაშინ ეს საზოგადოებები, თუ შესაძლოდ დაინახავენ, შეერთდნენ ერთ საზოგადოებად.

იმედია, კომიტეტი მხნედ შეუდგება საქმეს.

ევგენი ტასიკოშვილი.

შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ დანიშნულ სეირნობისა და ბაზრისთვის შემოსწირეს:

ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილისამ—1 ოქროს ბროშკა, მარგალიტით და ფირუზით მოჭედილი, სამი გულის და ორი მაჯის ზაპონკა, ერთი რიდიკიული, სარკე იაპონური და ბროლის ყუთი; კნ. რუსა დიმიტრის ასულმა მელიქიშვილისამ—ერთი მოქსოვილი აბრეშუმით გამოკრული საბანი და სურათების საწყობი ყუთი; თებრონია გაბრიელის ასულმა ნაცვლიშვილისამ—უწინდელი ხელოვნური ბალიში; ვასილ ბერეჟიანიშვილმა—თხუთმეტი ბოთლი ღვინო; ალექსანდრე ივან. ამირაღლოვმა—ორი ჟუკანეთის პერანგი; კნ. ნინო ხვიმ. ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ შეკრებილი ნივთები: ძმათა პოპოვებმა—ორი გირვანქა საუკეთესო ჩაი; №№—სამი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი; ივანე სერ. ტერ-სარკისიანმა—ოთხი მარმარილოს კვერცხი, ოთხი ალბომი სურათებიანი, სამი კალენდარი, ორი ყმის წიგნი, სამი დასტა ფოსტის ქაღალდი და სხვა-და-სხვა წვრილმანი; №№—ნაკერი ვარაყით ბალიში; აბელ ივან. ამირაღლოვმა—შვიდი საპერანგე ჩითი ხუთ-ხუთი არშინი; ს. გ. კვაჭაძემ—საზაფხულო პიკის პალტო თავის ჟილეტით; გ. ს. ურდანოვმა—ერთი წყვილი თეთრი ტუფლები, ორი არშინი აბრეშუმის ფულიარი, ბუზმენტის ქამარი და ერთი შარფი ოქრომკედით ნაკერი; ბ. გრიგუარმა—ერთი სავარცხელი სტოლისა, ორი თმაში გასაკეთებელი სავარცხელი, ორი კბილის ჩოთქი და შვიდი ფლაკონი დუხი; ბ. პორტუგალოვმა—ორი არშინი მაუდი, ორი ქალის შლიაპა, ერთი ბავშვის, ერთიც ტყავის ქუდი, დიუჟინ ნახევარი შესაკრავი, ათი დუჟინი პალტოს ღილი და სამი არშინი მოსავლები გაზი; №№—სამი ოთახის ტერმომეტრი; №№—სამი ძეწკვი და ერთი ვერცხლის საათი; №№—ექვსი უთო საზონი; კნეინა მაიკო ნიკოლ. ორბელიანისამ—მარმარილოს სამწერლო, ორი ქისა, ორი შინდის დასადგმელი, სამი პორთფელი და ნაკერი ბალიში; კნ. სალომე ანდრონიკაშვილისამ—ორი მარაო, ორი პორტმანე, ნახევარი დუჟინი ცხვირსახოცი, სამი ნაკერი თასაკრავი, ერთი ქამარი, სამი თავზე მოსახვევი; ვაჟარ სუმბათაშვილმა—ერთი პატარა შკაფი.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ., ბატონო რედაქტორო! ერთ-ერთს ადგილობრივს გაზეთში ამ დღეებში დაიბეჭდა ქიზიყიდან წერილი „საყმაწვილო დღესასწაული", რომელსაც ფსევდონიმად დავიწყებული აწერია. რადგან ამ ფსევდონიმით 1900 წლიდან „ცნობ. ფურცელში" და მის დამატებაში მე ვწერდი, შესაძლებელია ქართველ მკითხველ საზოგადოებას ეგონოს, რომ აღნიშნული წერილიც ჩემია, ე. ი. ორი ავტორი ერთ და იმავე ადგილიდან სცნოს, ამისათვის საჭიროდ მივიჩნიე გამოვაცხადო თქვენის გაზეთის საშუალებით, რომ „ცნობის ფურცელს" დავიწყებულს არასოდეს ამ ფსევდონიმით სხვაგან არა დაუბეჭდავრა და არც შემდგომში დაჰბეჭდავს.

მეორე მხრივ, უხერხულად მიმაჩნია თვით „საყმაწვილო დღესასწაულის" ავტორის მხრივაც, რომ თავისს წერილისათვის სხვისა ნაკუთვნი ფსევდონიმი მიუთვისებია და ამით მწერლობაში გაურკვევლობას ამყარებს; მწერლობის ეტიკა მოითხოვს, უკვე ნახმარი ფსევდონიმი იმავე სახით და შეუცვლელად სხვამ აღარ იხმაროს. ვიცი ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ავტორი დავიწყებულის მწერლის ფსევდონიმით, მაგრამ დავიწყებული-კი დღემდის სხვა არავინ მახსოვს და ამიტომაც ამოვირჩიე ეს ფსევდონიმი 1900 წლს „ცნობის ფურცლისათვის".

დავიწყებული.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მაისი.

კონსტანტინეპოლი. ხილმი-ფაშას ცნობების თანახმად 722 მაჰმადიანი დანიშნულია ჟანდარმებათ; დათხოვნილია სამსახურიდან 121 პოლიციელი და 15 მოხელე; უსკიუბის ვილაეტში დაარსდა 10 სათემო ოლქი, მონასტირისაში—რვა; საზოგადო ხასიათის მოქმედებისათვის დატუსაღებულ იქმნა 270 კაცი; ამ რიცხვში არ ითვლებიან კომიტეტების წევრნი. გაგზავნილ იქმნა კომისიები უსკიუბის, სალონიკის და ადრიანოპოლის ვილაიეტებში იმ მიზნით, რომ გაუშვან გაგზავნილნი ბოლგარიაში. კომისიები შეუდგნენ თავის საქმეს. სამ ვილაიეტში გაიხსნა განყოფილება ოტტომანის ბანკის.

პეტერბურგი. 17 მაისს წავიდა საზღვარგარეთ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე. 18 მაისს გადაიხადეს ასის წლის იუბილე 89 ბელომორის, 90 ონეგის და 92 პეჩორის ქვეითა პოლკებმა და მე 2 კრონშტადტის ციხის ქვეითა ბატალიონმა. მარსის მინდორზე გაიმართა პარადი ხელმწიფე-იმპერატორის თანადასწრებით და იკურთხა ახალი დროშები. საზამთრო სასახლეში გამართულ იქმნა საუზმე, რომელზედაც მიწვეულ იქმნა სამხედრო მთავრობა. საიუბილეო დღესასწაულები: 17 მაისს გაიმართა საიუბილეო სადილი, დამზადებული ათას ორას კაცისთვის; 18 მაისს მოხდა ნავების გაჯიბრება შუა ნევაზე, ისტორიული მუზიკალური სხდომა კონსერვატორიის ზალაში, წარმოდგენა მარიინის თეატრში—წარმოადგინეს ოპერა „ჟიზნ ზა ცარია" და სახალხო სახლში საიუბილეო წარმოდგენა—წარმოადგინეს ისტორიული პიესა „სანკტ-პეტერბურგი". ნოემბერში 1903 წელს პეტერბურგში გაიხსნება საერთაშორისო სამეცნიერო-სამრეწველო გამოფენა, სახელით „დეტსკი მირ". გამოფენას მიზნად აქვს დაასურათოს ბავშვის ცხოვრება დაბადებიდან დაწყებული სკოლაში მიცემამდის.

პარიზი. გამოცხადდა ბრიუსსელის შაქრის კონვენცია.

კონსტანტინეპოლი. დაარსდა ოთხი დღის კარანტინი ერტიდან მომავალ სურსათისთვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 ([illegible], პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს.48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 24 მაისს გამგეობის სადგომში **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის დუქნებზე მეორე სართულის დადგმა და ქვემო სართულის შეკეთება აფთიაქისთვის.

პირობების გაცნობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, 12-დან 2 საათამდე. სავარაუდო აღრიცხვა სამუშაოსი უდრის 16,834 მ. 40 კ. ბე უნდა წარუდგინოს 10% რაოდენობა. (3—1)

მცხეთაში იყიდება

იაფად და შეღავათიანის პირობებით ნაჭრებად დაყოფილი სააგარაკო ადგილები, რკინის გზის სადგურის მახლობლად. ფულის გადახდა მყიდველს შეეძლება სამის წლის განმავლობაში. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება რკინის გზის ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტში ყოველ დღე.

ესტატე ჩხარტიშვილი

(6—85—4)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—56)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—[illegible]	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე: მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв ценз. Тифлисъ, 19 мая, 1903 г. ელექტრონის სტ.ში ქ. წ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—а)я